ხელშეკრულება № 1 CH2MHILL

3 იანვარი 2011წ

ქ.ბათუმი

დაიდო, ერთის მხრივ, სსიპ "ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" აჭარის ზონალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი,ჯგუფის ხელმძღვანელი ნოდარი სხილაძესა (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროს გიორგი შარაშიძეს (შემდგომში "მიმწოდებელი")

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის ფარგლებში არსებული CH2MHILL შეთანხმება № 1308014. ზონალური დიაგნოსტიკის ლაბორატორია

1.2. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონი (მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ს)

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. "ბიოლოგიური საფრთხის შემცირების" პროგრამის ფარგლებში სსიპ "ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის ზონალური სამსახურის CH2MHILL ლაბორატორიის დაცვის მომსახურების (შემდგომში "ობიექტის" დაცვა") შესყიდვა.

2.2 "ობიექტის დაცვა" განხორციელდება "შემსყიდველის" მიერ "ობიექტის დაცვის" ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და "მიმწოდებლის" მიერ "ობიექტის დაცვაში" აყვანის შემდეგ.

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი. თვეში 115 ლარი, დღეს გარეშე.

4 ხელშეკრულების ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია :. სსიპ "ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის ზონალური სამსახური. ლაბორატორიის დაცვა.

5.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. "შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

5.2.უხარისხობის შემთხვევაში "მიმწოდებელი"საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის სრულ და დროულ შეცვლას "შემსყიდველის"ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვების ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები.

6.1 მიწოდების ადგილი - ქ.ბათუმი ქათამაძის ჩიხი №4 სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის ზონალური სამსახური.

6.2. მიწოდების ვადა 03.01.2011წ- 31.12.2011წ

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორმდება მიღება ჩაბარების აქტი.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ.ბათუმი ქათამაძის ჩიხი №4

7.3. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრის საკუთარი ხარჯებით უზტუნველყოფს "მიმწოდებელი".

7.4. ხელშეკრულების პირობების არასათანადო შესრულებისას "შემსყიდველს" უფლება აქვს არ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი, მოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისი სრული და დროული შესრულება, ან მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია სრული ანაზღაურებით შესყიდვის ობიექტის მიწოდების სრული დამთავრების უზრუნველსაყოფად.

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

8.1. ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო ანგარიშსწორება
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
8.3. "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

9. მხარეთა უფლება - მოვალეობები.

9.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:
9.1.1. "ობიექტის დაცვაზე" მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასიხისმგებელი პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციის სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;
9.1.2 განგაშის შემთხვევაში "მიმწოდებელს" მისცეს დასაცავი "ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;
9.1.3. უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;
9.1.4. სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ "მიმწოდებელს", დაელოდოს "მიმწოდებლის" წარმომადგენელის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;
9.1.5. ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;

9.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების 2.9.1. პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი- დაცვისპოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ არის გადაცემული "შემსყიდველი"-სათვის) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.
9.1.7. არ დაუშვას "შემსყიდველის" მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვისპოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე;
9.1.8.რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს "მიმწოდებელს";
9.2 "მიმწოდებელი "ვალდებულია:
9.2.1. დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცეს "შემსყიდველს" რადიო გადამცემი, რადიო გადამცემის ყუთი, რადიო გადამცემის პლატა და უზრუნველყოს მათი მონტაჟი-ინსტალაცია.
9.2.2. ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან მყისიერად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს "დაცვის ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;
9.2.3. "დაცვის ობიექტზე "აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს" და უზრუნველყოს შსს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;
9.2.4 "შემსყიდველს" ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს მიერ ძალაში შესული, გადაწყვეტილების საფუძველზე;
9.2.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით მონაწილეობა მიიღოს შედარების აქტის შედგენაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს "შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციის და ადასტურებდეს "მიმწოდებლის" შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელობის ხელისმოწერა.
9.2.6 სიგნალ "განგაშის" მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად-გამოიძახოს "შემსყიდველი" ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

9.2.6 სიგნალ "განგაშის" მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად-გამოიძახოს "შემსყიდველი" ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

9.2.7. არ მიიღოს "შემსყიდველის" ობიექტი დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები რომლის გამოც "მიმწოდებლისაგან" დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც "შემსყიდველს" ეცნობება წინასწარ;

9.2.8. იკისროს პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია "ობიექტის დაცვის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა "შემსყიდველის" დაუდეგრობამ.

9.3. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1. მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

9.3.2 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით

9.3.3 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

9.3.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს იმ შემთხვევაში თუ "მიმწოდებლის" ქმედების გამო იგი დგება იმ ფაქტის წინაშე, რომ შეიძლება დაირღვეს "ბიოლოგიური საფრთხის შემცირების" პროგრამის ინტერესები, ამასთან მოითხოვოს ზარალის სრული ანაზღაურება;

9.3.5 შეამოწმოს მიწოდებული "შესყიდვის ობიექტის" ხარისხი და მიწოდების ვადები და, თუ "მიმწოდებელი" არასათანადოდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება მიწოდებული "შესყიდვის ობიექტის" ანაზღაურების გარეშე;

9.4. "მიმწოდებელი " უფლებამოსილია:

9.4.1. მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული "შესყიდვის ობიექტის" ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2.განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება "შესყიდვის ობიექტის" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილების შეტანისათვის.

9.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5. მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9.4.6. "მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული ანაზღაურება, წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე და შეუსრულებლობის შემთხვევაში გააუქმოს დადებული ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები.

10.1 "მიმწოდებელს" არ აქვს უფლება "შემსყიდველს" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

10.2"შემსყიდველი" არ მიიჩნევს დასაშვებად ფასების გადასინჯვის შესაძლებლობას.

10.3ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

10.5. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.6. ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.
10.7. საჯარო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
10.8. წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტი.
10.9. ზიანის დადასტურების შემთხვევაში "შემსყიდველი" 3.9.10 პუნქტში მითითებული თანხის გადახდა უზრუნველყოფს 5 სამუშაო დღის განმავლობაში

11.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. "შემსყიდველს"შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის"ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1. თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შესყიდვის ობიექტის მიწოდება;
11.1.2. თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს რის გამოც ვერ განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3."შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.3.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეწონილია "შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;
11.3.2. თუ "შემსყიდველისათვის"ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.3 "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.
11.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითიუთებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" უკვე ფაქტიურად მიწოდებული "შესყიდვის ობიექტის" ღირებულება.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით.
12.2 მხარეებს არ ენიჭება უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობა.
12.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც წარმოშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. დაუძლეველი ძალის მოქმედება

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენები, რომელსაც ცნობენ მხარეები.

13.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

14.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

15. გამოსაყენებელი სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

17. ურთიერთობა მხარეებს შორის

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის

18.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

18.2 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

19 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

19.1 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განხორციელდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

20..2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 03.01.2011. - 31.12.11წ

21. განსაკუთრებული შენიშვნები

21.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და არ შეიძლება ცდებოდეს მას.

21.2. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი გზემპლიარი გადაეცემა "მიმწოდებელს.

22 მხარეთა რეკვიზიტები

" შემსყიდველი"

სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის ზონალური სამსახური
ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამა
საინდიფიკაციო კოდი: 211324351

სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია"ბათუმის ფილ.
ბანკის კოდი:UGEBGE 22655
ანგარიში GE26VT5500000000723408
ქათამაძის ჩიხი №4

აჭარის ზონალური სამსახურის
მთავარი სპეციალისტ, ჯგუფის
ხელმძღვანელი: ნ.სხილაძე

" მიმწოდებელი"

შსს სსიპ დაცვის პოლიციის
დეპარტამენტი.
ქ.ბათუმის, სს"ლიბერთი ბანკი"-ს
ცენტრალური ფილიალი.
ქ.ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ.11
ბანკის კოდი:SWIFT code: LBRTGE22.
ანგ.GE74LB0121158008584004
საინ/კოდი: 211 350 928

დირექტორი: გ.შარაშიძე